ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5061406

ნომერი: AR1765624

თარიღი : 03.08.2020

გაცემის თარიღი : 11.08.2020

გაცნობის თარიღი : 11.08.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იპოლიტოვ- ივანოვის (ყოფილი ქერჩის), N 10 , (ნაკვ. 29/68) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა იპოლიტოვ- ივანოვის (ყოფილი ქერჩის), N 10 , (ნაკვეთი N29/60) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა იპოლიტ-ივანოვი , N10-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა იპოლიტ-ივანოვი , N 10 , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ სანდუხაძე პ/ნ 01004005606
- ლიბანის 7, ბინა 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 3 აგვისტოს №AR1765624 განცხადებით მომართა ნოდარ სანდუხაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ემუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის მიერ 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, ქუჩა იპოლიტოვ-ივანოვის (ყოფილი ქერჩის), №10, (ნაკვ. 29/68); ქალაქი თბილისი, ქუჩა იპოლიტოვ-ივანოვის (ყოფილი ქერჩის), №10, (ნაკვეთი №29/60); ქალაქი თბილისი, ქუჩა იპოლიტ-ივანოვი, №10-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქუჩა იპოლიტ-ივანოვი, №10, მიმდებარედ, №01.11.05.029.300 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალფუნქციური კომპლექსის (სექტორი 3, საცხოვრებელი ბლოკი ,,დ", ბლოკი ,,ე") კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 16 ივლისიდან 2021 წლის 16 იანვრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანებაში ცვლილების შეტანას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ განმცხადებელს სურს, კომერციულ ფართობად 1531.5 კვ.მ-ის ნაცვლად - 1464.6 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 335.4 კვ.მ-ის ნაცვლად 402.3 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ დადგენილ იქნა, რომ 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანებაში კომერციული ფართობი უნდა იყოს - 1464.6 კვ.მ., დამხმარე ფართობი - 402.3 კვ.მ. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, უბრალოდ ხდება 0.00 ნიშნულის გეგმაზე ფართობების დაზუსტება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882019620027, მომზადების თარიღი: 31/07/2019 წ.) თანახმად, №01.11.05.029.300 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „იუნიქს ქონსთრაქშენ კომპანი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: №405133822). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №B19144449, მომზადების თარიღი: 31/12/2019 წ.) მიხედვით შპს „იუნიქს ქონსთრაქშენ კომპანის“ დირექტორს წარმოადგენს ნოდარ სანდუხაძე, შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და კომერციული ფართობად დაფიქსირდეს 1464.6 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 402.3 კვ.მ.
2. სამსახურის 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 16 ივლისის №5022056 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.